

ବ୍ୟାଙ୍ଗନ ପରିବହନ ଏକାଡେମୀ



ଓଡ଼ିଶା ସଂଚାର ବ୍ୟାଙ୍ଗନ
ବ୍ୟାଙ୍ଗନ ପରିବହନ ଏକାଡେମୀ

140 1/2
1948

127

140 1/2





შიომბერი


საქართველოს პრეზიდიუმის კომიტეტის
უფლებითი საგაფლო უნიალი

№ 9 სექტემბერი 1948

გამომცემული მუსიკა
„ქოშუნისტი“

დეკიმები XXII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии
(на грузинском языке)



1 სექტემბერს თბილისის მე-7ქალთა საშუალო სკოლის VII კლასებმა წარჩინებულმა მოსწავლეებმა მ. მიქაელიძემ, მ. ჯიქიძემ და ნ. ობოლაძემ თაიგული მიართვეს დამსახურებულ მასწავლებელს ვ. კალანდარიშვილს.

ფოტო ვ. რუსეცკისა



ადამი

ანდრია აღექსანდრეს-ძე უდანოვი

(1896 - 1948)

ამა წლის 31 აგვისტოს მძიმე ავალმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი და მოღვაწე, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდგრანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენერალ-ბოლქოვნიკი ამხანაგი ანდრია აღექსანდრეს-ძე უდანოვი.

სამედიცინო დასკვნით სიკვდილი გამოიწვია ავალმყოფურად შეცვლილი გულის დამბლამ, რასაც თან ახლდა ფილტვების მწვავე სიმსიცნის მოვლენები.

ანდრია აღექსანდრეს-ძე უდანოვი დაიბადა 1896 წლის 26 (14) ოქტომბერი ვალს ქალაქ მარიუპოლში სახალხო სასწავლებლების ინსპექტორის ოჯახში. მამამისის ტვერში გადასვლის შემდეგ პ. ა. უდანოვი, თექვსმეტი წლის ჭაბუკი, 1912 წელს ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, მონაწილეობას იღებს ქალაქ ტვერის (ამჟამად ქალაქ კალინინის) მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში.

ბოლშევიკური პარტიის რიგებში პ. ა. უდანოვი 1915 წელს შევიდა.

ჭაბუქობის წლებიდან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე შდანოვნი დაუდალავად იბრძოდა მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის პიროვნეული დაცვა

და ლენინგრადთან ფაშისტთა ურდიობის განადგურება განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ შდანოვნის სახელთან.

ამხანაგ შდანოვნის თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწეობა, მისი საბრძოლო დამსახურებანი დიდი სამატულო ომის ფრონტებზე საბჭოთა მთავრობაში იმით აღნიშნა, რომ მიანიჭა მას ჯერ გენერალ-ლეიტენანტის, ხოლო შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკის წოდება.

თავისი შესანიშნავი პარტიული და სამხედრო მუშაობისათვის ამხანაგი შდანოვნი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, წითელი დროშის ორდენით, სუვოროვის I ხარისხის ორდენით, კუტუზოვის I ხარისხის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით.

ამხანაგი შდანოვნი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის პირველ რიგებში იმყოფებოდა. მისი გამოსვლები ფართოდ არის ცნობილი ყველა პირის მშრომელთათვის.

ამხანაგ შდანოვნის საბჭოთა ინტელიგენცია მეცნიერების მიმღბარს უწოდებს. მარქსიზმ-ლენინიზმის გამოჩენილობა თეორეტიკოსება, ლენინ-სტალინის დიადი იდეების უნიჭირებებმა პროპაგანდისტმა, ამხანაგმა შდანოვნება მოგვცა თიონსოფიის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების საკითხების ფართო განხოვადობათა ჩრწყინვალე ნიმუშები.

პ. პ. შდანოვნი საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი დამრიგებელი, მზრუნველი მასწავლებელი, ახლო მეცნიერა იყო. მას მხურვალედ უყვარდა ახალგაზრდობა, იცოდა მისი მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი, გადასცემდა მასიბს თავის ღრმა თეორიულ ცოდნას, რეალუციონერი ირგანიზატორის უმიზიდოების გამოცილებას, ზროიდა ახალგაზრდა თაობას სოციალისტური სამშობლოსადმი, ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

„აანსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს,—ამბობდა ა. უდანოვი, —ჩემი ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ აღზრდას. საბჭოთა წყობილებას არ შეუძლია მოითმინოს ახალგაზრდობის აღზრდა უიდებობის, პოლიტიკისადმი აულგრძლი დამოკიდებულების სულისკვითობით. საჭიროა თავიცვათ ახალგაზრდობა გარეშე გამხერწელი გავლენისაგან და მორჩის მისა აღზრდა და სწაიოთა ბოლშევიკური ითერიბის სულისკვითობით. მხოლოდ ასე შეიძლება ათოზარითო სოციალიზმის მშენებლობა მამაცი თაობა. რომელთაც სწამო ჩვენი საქმის გამარჯვება, რომლებიც მხერიბით აღსავსენ არიან და არ ეშინიათ არავითარი ხიძელის. რომელიც მზად არიან გადალახონ ყოველგვარი სიძნელე“.

დიდი სტალინის ერთგული მოწაფისა და უახლოესი თანამებრძოლის ანდრია ალექსანდრეს-ძე შდანოვნის მთელი მგზებარე ცხოვრება და ნაყოფიერი მოღვაწეობა მთელს ჩვენს ახალგაზრდობას საბჭოთა სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი თავდადებულ სამსახურს ასწავლის.

ამხანაგმა შდანოვნება მთელი თავისი შესანიშნავი ცხოვრებით და მოღვაწობით პარტიისა და ყველა მშრომელის სიყვარული და მაღლიერება დაიმსახურა. საბჭოთა ახალგაზრდობამ ისევე, როგორც მთელმა ჩვენმა ხალხმა, დიდი გულისტკივილი გამოსთვევა იმ უმძიმესი დანაკლისის გამო, რომელიც პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა განიცადა ამხანაგ შდანოვნის გარეაცვალებით.

ამხანაგ პ. პ. შდანოვნის დაკრძალვა მოხდა წითელ მოედანზე კრემლის კედელთან ა. წ. 2 სექტემბერს.

დ ა ი წ ყ ა ს წ ა ვ დ ა

წ

აზაფხულო არდაღეგები დამთავრდა. დაბრუნდნენ მოსწავლეები მოგზაურობიდან, ბანაკებიდან, სანატორიუმებიდან. დაბრუნდნენ დასვენებულნი, ჯან-ლონე მოქრეფილნი, ახალი შთაბეჭდილებებით, ახალი მისწრაფებებით.

დაიწყო სწავლა.

მუშაობას შეუდგა მთელი სკოლა — მოსწავლეები, შასწავლებლები, პიონერხელმძღვანელები.

სწავლის დაწყება უდიდეს ამოცანებს უსახავს პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად პიონერხელმძღვანელსაც.

პიონერხელმძღვანელმა ამთავითვე ისე უნდა მოაწყოს თავისი მუშაობა პიონერებთან, ისე უნდა შეადგინოს რაზმეულის მუშაობის გეგმა, რომ მთავარი ადგილი ამ გეგმაში სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მუშაობისადმი დახმარებას ჰქონდეს დათმობილი. პიონერებთან პიონერხელმძღვანელის მთელი მუშაობა, — იქნება ეს საინტერესო თამაშობანი, ლაშქრობანი, შეკრებები თუ შეჯიბრებანი, — ხელს უნდა უწყობდეს პიონერ-მოსწავლეთა წარმატებით სწავლას, მათ მიერ სასკოლო პროგრამის ღრმა შეთვისებას, მათში დისკიპლინის განმტკიცებას.

გასულ წელს მთელი რიგი სკოლების პიონერთა რაზმეულებში წარმატებით ტარდებოდა სხვადასხვა თემატური ოლიმპიადები — ქიმიაში, ფიზიკაში, ლიტერატურაში; ტარდებოდა შეკრებები, მიძღვნილი ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიისადმი, ისტორიისადმი, ჩვენი ხალხის გამოჩენილი მოღვაწეებისადმი და სხვა.

ასეთი მუშაობა ეხმარებოდა პიონერ-მოსწავლეებს სკოლაში შეძენილი ცოდნის განტკიცებასა და გაღრმვებაში.

ასზაფხულო ექსკურსიებიდან და ლაშქრობებიდან პიონერებმა ჩამოიტანეს უამრავი ჩანაწერები, დღიურები, კოლექციები, პერძარიუმები. პიონერთა შრომა არ უნდა დაიკარგოს ტყუილუბრალოდ. მთელი ეს მასალა უნდა შეჯამდეს და დამუშავდეს, ზაფხულში ჩატარებული მუშაობის შედეგები განხილულ უნდა იქნას რაზმეულის რგოლებისა და რაზმების შეკრებებზე.

პიონერხელმძღვანელი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სკოლის დირექტორთან და პედაგოგებთან, სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციასთან, კომკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან. ისინი დიდ დახმარებას გაუწევენ მას მუშაობაში.



ქ. გოგიაშვილი

ჩაგვემშვიდობა ზაფხული
მისი მცხუნვარე დღეებით,
სულ თვალშინ მიღას სოფელი
გადაქოჩილი ტყეებით,
პატარა ანცი მდინარე
და ოქროსფერი ველები,
ციხე-კოშები მდინარე,
ძველად სამშობლოს შცველები.
ურმები, დიდი ურმები,
ხორბარით დატვირთულები,
ბაღში ვაშლი და ხურმები,
ვაზები დაჯგიმულები.
ბელლის ოდენა წისქვილი,
ყურებდაჭრილი მურია,

მთის წყარო მოუსვენარი,
რომ სეამ და ისევ გწყურია.
მომსდევენ, თვალს მიბრწყინებენ
მშობელ სოფელზე ფიქრები,
მაგრამ მახარებს, ფრთებს მასხამს
რომ კვლავ სკოლაში ვიქნები.
ვნახავ მეგობრებს, ჩემს ტოლებს,
ძალ-ღონით გაკაჯებულებს,
სწავლისთვის მამაც მებრძოლებს,
ცოდნისთვის თავდადებულებს.
გულს ამიძეგრებს ზარის ხმა,
შეხვედრის ტკბილი წამები,—
იმ ჩემს საყვარელ ილმზრდელებს
ხალისით მივესალმები.



ილია ხოშჩარია

მარგოსის არმიას

მის ხანძრის დამნოებლები
არ დარჩება ქვეყნად ერთიც, —
მჯერა, ბრძოლით კვლავ აღსდგება
ჰომეროსის საბერძნეთი.
სადაც ქარი ღრუბლებს აცლის
ბალკანეთის გრძელ ნაპირებს,
იქ მარკოსი* მთავარსარდლობს
ჰერკულესის ქვეყნის გმირებს.

მათ ბრძოლის გზას რომ უნათებს,
ეს შუქია ჩაგრულთ შვების, —
შუქი დიდი სიმართლისა,
ვით ნიშანი გამარჯვების.
თქვენსკენ, გმირნო, მოუპყრიათ
ყველა ქვეყნის ხალხებს თვალი,
თქვენ გილიმით საბერძნეთის
დღენათელი მომავალი.
მალე ნიშნად ზეიმისა
თქვენი ვაშა იგრიალებს,
როგორც ბერლინს, ათენშიდაც
ძლევის ღროშა იფრიალებს.

* გენერალი მარკოსი—საბერძნეთის დემოკრატიული არმიის მთავარსარდალი.





ნამწყემსარის ცხოვრება

— წეტავი აკვანს დამარტევინებდე. ნუ გეშინაა, ძალო, ფრთხილად ფიქნები, სულ მაღლე ჩავაძინებ! — ესვეწებოდა ათი-თორმეტი წლის გოგონა შეახნის ქალს, რომელიც აკვანს მუხლებზეა ჩოქილი მისდგომიდა, ნელა არწევდა და დაბალის ნმით ტკბილ ნანინასაც უძირდოდა.

— ვერა, შენი ჭირიმე, ვერ განდობ, ბალი ჩარ, გადამიმარტინებ და დამლუბავ, შემიწუბებ ჩემი გულის ყვავილს. — უარი უთხრა თოთო ბავშვის ძიძამ.

მაგრამ გოგონა მაინც თავისის არ იშლიდა.

— ძალო, მამასი მშვიდობაზ, ფრთხილად ეწენები. ნანინაც ვუმდერ, ტკბილ ნანას, შენგან რომ მისწავლია, ისე!..

ძიძამ მაინც არ დაანება.

გოგონა კი იღგა და მწყურვალე თვალით შესცეროდა აკვანში მწოლარე ბავშვს, რომელსაც შავი დიდრონი თვალები ფართოდ გაერო და შესცეროდა აკვანზე დაკარგებულ კაჭლებს. ერყობოდა, ბავშვი სრულებითაც არ აპირებდა ძიძს, მაგრამ თუ განუმებული იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ ნანინას საამინდის აჯაღოებდა.

ეს იყო ერთი საუკუნის წინათ, როდესაც მიხეილ ყაზბეგს ვაჟი შეეძინა. ბავშვმა, რომელსაც ალექსანდრე დაარქვეს, ნამდვილი ზეიმი გამოიწვია თავისი მაძის, ხევისა და მთიულეთის გამგებლის დიდ ოჯახში.

გამოიჩინილი ქართველი ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი დაიბადა 1848 წელს შეძლებული შოთა მებატონის მიხეილ ყაზბეგის ოჯახში. ბავშვობა შოთა ში გაატარა.

ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი პირველივე წინებით მიიქცა ყურადღება.

ილია, აკაკი და ვაჟა ალფროვანებით. შევდნენ ყაზბეგის მოსკოვს მწერლობაში. ყაზბეგმა სავართლიანად დამკიცდრა ფრიად საპატიო და განსაკუთრებული ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ტვირთმძიმე და შვილობინი ცხოვრება ჩაგრული მთიელი გლეხსაცობისა, დაუცხომელი ბრძოლა სიმართლისათვის და ვაჟკაცობა, ურლვევი მეგობრობა და თავდადება, მაღალი და უმწიდევლო სიყვარული... ის რაც ასე ამალებს ყაზბეგის შემოქმედებას.

წელს შესრულდა ასი წელი ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან. ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით აღნიშნავს ამ თარიღს.

ბავშვის — მომაგალი მწერლის გაზრდა-გახარებისა და ბატწყინვალე მომავლის სურვილები იქსოვებოდა „ააღლეგრაქელოებში. თვითონ ბავშვს კი ყველა თავს დასტრიალებდა. მის ალექსში იყო დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ნათესავები, შინაური თუ გარეშე. მეზობელ-ნათესავთა გოგობიჭები მისი აკვანის დატვირთვაც კი ნატრობდნენ.

თოთო ბავშვი, და შემდეგში ცოტა წამოზრდილი პატარა სახდრო რას იგრძნობდა ასეთ გადამეტებულ ზრუნვას! მას ესმოდა მხოლოდ შმიბლიური წანა და დედის — ელისაბედის ტყბილმიუბარი ქართული ენა, რაც მის ადამიანურ ბუნებაში საშმიბლოს სიყვარულის უკვდავ გრძნობას აღვივებდა.

აი, წამოზრდა პატარა სანდრო. ის უკვე შვილიდანვა წლის ბიჭი შეიქნა. ავისა და კარგის გარჩევა შეეძლო. უკვე იგრძნო კიდევ ის სიმძიმე, რომელიც მშობლების გადამეტებული ზრუნვის გამო მის ბავშვურ სათუთა და უმწიდევლო ბუნებას აწევა. ახლა სანდრო სულ იმას ცდილობდა, როგორმე თავი დაეღწია უამრავ მოსამასურეთაგან და თავის უფლებად გაენავარდა თავის ტოლებში, მეზობელ ბიჭებში. სანდრო აღწევდა ამას. ის დატოვდა შეხობლებში, ეცხობოდა მათ ყოფისა და მდგომარეობას, ადარებდა თავის ოჯახის ცხოვრებს და გულში სიყვარული და პატივისცემა ეზრდებოდა მდაბიო მშრომელი ხალხისადმი.

მაგრამ, როდესაც სანდრო შინ იყო, თავის აღმზრდელ ძიძსთან მიერთოდა და თვალებში სიყვარულით შემყურებ სთხოვდა:

— ზღაპარი მიამბეღა, ჩემო საყვარელო ძიძავ!

— მოდი, შენი ჭირიმე, — და ნინო კალათასთან ახლო მოისვამდა, დაუკუთხნიდა მაღალ შუბლს და ტყბილად შეეკითხებოდა:

— გუშინ რომ ზღაპარი გიამბე, ხომ არ დაგვიწყებია?!

— რაი დამავიწებდა? — მაშინვე შესძა-ხებდა სიცოცხლით საფსუ, ფლქი და მოუს-ვენარი სახლრო.

— ახლა გიამბობ, ბიჭვა, სულ სხვა ზღა-პარს — „ხალხის ნუგაშის“.

— ხალხის ნუგაში? ვინაა, ძიძავ, ხალხის ნუგაში? — გაკირვებით იყითხა ზღაპრის სათაურითვე დაინტერესებულმა პატარა სან-დრომ.

— დამაცადე. ჯერ გიამბო, შენვე მიხვდე-ბი. აბა ვინ უნდა იყოს ხალხის ნუგაში, თუ არა ის, ვინც ხალხზე ზრუნავს?! — უპასუხა გამდელმა და დაიწყო ახლოი ზღაპრის.

ისიბლებოდა სანდრო ზღაპრის შინაარსით. ხან დაფიქტდებოდა, ხან თვალი გაუზრუნ-დებოდა.

ძიძის მოთხოვნილი ზღაპრებით იგებდა პატარა სანდრო ყმების უტელურებას ბატო-ნების ხელში. და მაშინ სანდრო, ბატონის ოჯახის თვალი და გული, დალონდებოდა ჩაგრულთა უმწეო ბედზე. ხშირად ცრემ-ლით ეცეს ბოდა თვალი.

— ნე სტირი, ბიჭავ, გენაცვალოს ძიძა, ნე სტირი, თორო აღარ გიამბო! — შეს-თხოვდა გამდელი და პატარას ცრემლებს უწმენდდა.

როცე სანდრო ათოთორმეტი წლის შეიქნა, უკვე ველარ ეთვისებოდა შინაარებში, მოსამ-სასურებებს. ხან ჩემად, ხან ჩეუბით დაუს-ხლტებოდა მათ და გაძჟუსლავდა საგმე მახ-ლობელ ფერდობზე ცხვარში, მწყემსებთან. მათთან — ამ აღალ აღამიანებთან უყვარდა ყოფნა სანდროს. ამ დროს კი დედა თავის კარმილიმში, რომელიც სიმიღილრით და მირთულობით სასახლეს ჰგავდა, დაექებდა მას.

— საღ არის ჩემი მოჩეუბარი შვილი? მომიტებნეთ ჩემი სანდრო! —

მსახურები ამაღ დაიქებდნენ მას. პატარა მოჩეუბარიდე ბინდისას თავისით გამოჩენდებოდა ხოლმე.

აა, სანდრომ მეცამეტე წელში გადასდგა ფეხი და ოჯახში დიდი შზადება შეიიქნა. აცხო-ბენ ქადებს, ნაზუქებს, ჰელოვენ ცხვრებს, ქათ-მებს, არჩევნ და იღებენ ყველს კასრებიდან. საჯინიბოში საკუთხესო ცხენები იყაჩმება, რომელთაც თბილისში გამართულ დოლებში სილამაზესა და სისწრაფეში ჯილდოები ჰქონდათ მიღებული. ირთვებან მცველები და მეტლები.

მთელმა სტეფანწმინდამ გაიგო, რომ სან-დრო სასწავლებლად მიჰყავდათ თბილისში.

ამაზე დიდი სიხარული რა უნდა ყოფილიყო სწავლის მოყვარული სანდროსათვის! იგი დადინჯდა, სულ აღარ ჰგავდა მისთვის შერ-ქმეულ „მოჩეუბარიდეს“.

აა, თბილისიც. ის უკვე პირველი კლასის მოსწავლეები. სხვა საგრძნებთან ერთად სწავლობს მუსიკას, ფრანგულ ენას, ღვევის... ყველა უკმი ასწრებს. ოთხი წელიწადი მეცნიერდა სწავლაბდა, ქლასიდან კლასში გადადიდა. ზაფხულს თბილისში ატარებდა, ზაფხულს ხევში.

ძაგრამ მესუთე წელს აღარ გამოამგზავ-რეს თბილისისაკენ. ხევში დასტოვეს. სან-დროს კი გულა ძიუსწრაფოდა გიმაზიისაკენ, სწავლაში შეძენილ ტოლ-ამხანაგებისაკებ...

გულჩათხოვნიბილი დადიოდა სანდრო. ემ-დურობა ყველას. ავლავ იჩინა თავი მისძა ბოჩხუბარაზე ხსიათშა. ეინიანობდა. არავის არ უგონებდა. გულში კი რაღაც გადასწყი-ტო. არავის უმხელდა თავის განზრახვას. გაძ-ზრდელსაც კი არ უზიარებდა გულის ნადებშა.

და ერთ დიღას, როდესაც ყველას ეძინა, სანდრო წიგნებითა და მცირე საგზლით გაიპარა სახლიდან. მარდი იყო სანდრო, დაუღალავი და მუხლმაგარი. ის მარტოდ-ძარცო შიდიოდა თბილისისაკენ.

დიდი ურჩაური ატყდა ყაზბეგიანთ ჯვაჭში.

— სად არის სანდრო? — მკაცრად გაიძა-ხოდა მაძა.

— მომიტებნეთ ჩემი გულის ყვავილი! — ყველას შესთხოვდა დედა.

ხალხი აფრინეს ყოველ მხრივ. მთაში—ცხვარსა და მწყემსებისაკენ, მახლობელ სო-ფლებში — ნათესავებთან, და, რაც მთავა-რია, ფეხმარდი ცხენები შეკაზმეს, მღევრე-ბი დაადევნეს საქართველოს სამხედრო გზით.

მალე დაეწივნენ ქვეითად მიმავალ ყმა-წივილს. გადაეღინენ. ვეღარ უშველა წი-ნააღმდევობამ... უკან დაბრუნეს.

— გაცევა როგორ-ლა შეიძლება, ბიჭა!! — არიგებდა მერე მას მამა — ცოტა დამაცა-დე, მე თვითონ წაგიყვან, უსწავლელს არ დაგტოვებ!

სანდრო თავისალუნული იდგა მამის წინ. მორჩილად უსმენდა.

ოთხი თვის შემდეგ სანდრო მართლაც წია-ყვანეს თბილისში, მაგრამ გაცდენილი დროის გამო სასწავლებელში აღარ მიიღეს. მამაც გარდაცელა. დარჩა იგი ოჯახის უფროსად ახალგაზრდა, გამოუცდელი, სულ სხვა ბუნების აღამიანი, ვიღრე მებატონეს შეეფერებოდა.

სანდრო უკვე დავაუკაცდა. ულვაში ახლად აეშალა. ლამაზად დახატული სახე, მიწრა-მოხრა, სიტყვა-პასუხი მის მნახველს სიამო-ვნებას ჰგავიდა.

ამ დროს ოცნებად გადაეცდა სწავლა. ის ისწრაფოდა რუსეთისაკენ, ესწრაფოდა უნი-ვერსიტეტში შესვლას. გაემგზავრა კიდეც.

რამდენიმე წელი დაჭყო იქ. შესასვლელი გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა, ძეცადინებდა. უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელადაც ითვლებოდა, კითხულობდა წიგნებს. პეტერბურგშიც გაემგზავრა. გაეცნო რუსეთის იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას და სამი წლის შემდეგ მიზანმიუღწეველი, მაგრამ მრავლის ნანაშით, განცდილით და ნატანჯით გონებაგახსნილი დაბრუნდა თავის მშობლიურ კუთხეში.

გრძელებულებრივანი ბოხოზით თავზე, ნაბარში და წინდა-პაჭიშვი გამოწყობილი, მეცნარის კომბლით ხელში დაჭყვებოდა ალექსანდრე თავის ფარას. მაშინ განცვითრა მან უცხოელები, როდესაც ეს „უბრალო მწყემსი“ მათ ფრანგულად გამოისაუბრა.

გამოაღვა ბეჭითი სწავლა, უცხო ენის ცოდნა.

ერთხელ ალექსანდრესთან მივიდა სახელმოვანი მეცნარე სეიმონა გიგაური და მიმართა:

- მე შენთან მოვედ.
- რაი ანბავია?
- ნამგალობა* გვწალია შენთან.

— რაისთვი არა, — უპასუხა გახარებულმა ალექსანდრემ, — მე თავად ვეძებდი ნამგალებს. მაგრამ რაისთვი დაიგვიანეთ, რაისთვი აქამდინ არ შემატყობინეთ, ხომ იცოდით, რომ მე თავადაც ვეძებდი ნამგალებს? — ჰაი, ჰაი, ვიცოდით, მაგრამ ჩენ არ ვგვერთდა, რომ მართლა ხელს მოპყიდებდი მეცნარეობას...

და ალექსანდრე დაუშევობრდა გიგაურს. ისინი ერთად გაშურნენ ზამთრის საძოვრებისაკენ. დარიალის ხეობით მიუძღვოდნენ ათასობით ცხვარს. შორეული და უცხო სოფლები, ხევები, მთები, ტრიალი მინდვრები გაუცლიათ, ბევრი სიძნელე გადაუტანიათ. „ცისქეშ, ბნელსა და ცივს ღამეს, განუწყვეტილი კოქებრივი წვიმა, რომელიც ასველებს და ჰყინავს რბილსა და ძალას; ქარიშხალი საღვისებისაფით სიჩელეტს ქარისაგან გადაგდებული ნამდის ადგილს — და ცხვარს კი მაინც ვერ მოშორებინართ, თავი ვერ შეგიფარებიათ, იმიტომ რომ ცხვარს ვერ მოაცდეთ საძოვარს!!“

ასეთი იყო ალექსანდრეს ცხოვრება მწყემსობის დროს. ის ცილილობდა გვერდში ამოსდგომოდა თავის მოძმებს — მშრომელ მოხევებს, გასცნობოდა მათ ცხოვრებას.

ერთ საღამოს მამის მეგობრები ესტუმრენ ოჯახს. სტუმარ-მასაბინძლები, გრილი და მთვარიანი საღამოს გამო, ბაღიაში გამოსულიყვნენ. ცხვარში მყოფ ალექსანდრეს სტუ-

მრების მოსელა შეატყობინეს. ის მაშინვე მივიღა შინ. „შეს უნდოდა შეცხეარული ტახსაცმელი გამოეცალა, მაგრამ თვალი მიჰკული კრეს და დაუძახეს. მამამისის მოხუცი შეუკბარი და დამცინავი სიცილით შეეგება ალექსანდრეს.

— იფ, იფ!.. დამიხედეთ მთის მებატონის შევილა!

ალექსანდრე გაშტერებით უყურებდა მას.

— არა გრცხვენია? ნამუსი აღარა გაქვს? — ეუბნებოდა გაცხარებული მოხუცი.

— რადა მშრომლავთ, ბატონო! რა დამიზანებია? — ძლიერ მოახერხა სიტყვა ალექსანდრემ.

გულატკენი ალექსანდრე თახაში შევიდა. იგი იებურო ძარე ფიქრებძა:

„ერთის შხოით ლანძღვა იძირობ, რომ იმათს გავვეთილს ბილიქედ არ მივდივა და შიზად აო გაძიხდია „ჩიხი და პატივი“; მეორე შხრით ლანძღვა იძისთვის, რომ განუწყვეტლივი ჭრიტინის მაგივრად ძნელ საქმეს იოვიდე ხელი და მესამე მხრიდანაც უნდობლობა, რადგანაც იშ ხალხს, გისაც გულით ველტივ, ვერ წარმოედგინათ კაცი, რომელსაც იძათი ძარცვა შეეძლო და ძარცვის მაგივრად იმათაბ ერთად მუშაობას და ძმობას აპირებდა...“

გავიდა წლები... ალექსანდრეს შემოქმედების წყაროდ გადაიქცა ხევი, მოხევენი და საძართლიანი ცხოვრება. გველაფერი ეს ასახა მან „ელგუჯაში“, „ელისომში“, „მოძღვარში“, „ხევისტერი გომაში“, „ციციაში“, „ხამწყემსარის მოვონებაში“, „მამის მკვლელში“. მშობლიური კუთხის მდაბიო და მშრომელ ხალხისაგან, განუწყვეტელი ბრძოლის გზაზე, შემოქმედებით საზრდოები მიიღო ის დიდი მღელებისაგანი, რომელნიც მან თავის ნაწარმოებებში ჩააქსოვა.

მართალი იყო მხცოვანი პოეტი გრიგორ ორბელიანი, რომელმაც გაზეთში პირველად დაბეჭდილ „ელგუჯას“ წაუითხვის შემდეგ იქვე წააწერა:

„ღმერთმა გაკურთხოს, მოჩხუბარიძევ, იმ გულის დატებობისათვის, რომელიც მომეცა ამ მოთხოვნის წაკითხვის უამსა. ჯერ ქართულს ენაზედ მსგავსი არა დაწერილა-რა“.

მე არა ციტუცი ალექსანდრე ყაზბეგის სიკვდილის შესახებ. ის არ მომკვდარა. განაყოველ ჩვენგანს თვალშინ არ უდგას მაღალი შუბლით, გონიერი თვალებით, ოდნავ შევერცლილი წვერით დამშვენებული სათხოსის აღამიანი, რომელიც დღეს ასი წლისაა, მაგრამ მაინც მუდმივ მღელები ახალგაზრდად გვევლინება?!

သနပိတေသန

ପ୍ରକାଶନ କଳେ

კარზე სწორედ მაშინ მოისმა კაცუნი, რო-
ცა ელენე სუფრის გაშლას შეუდგა. გორ-
გიმ წარბება შეიკრა და მიუბრუნდა ელენქს.

— ვინ უნდა იყოს პატიო უდროოდორის? — ვინ უდა იყოს!... ვინ იქნება და ჩვენი ძვირფასი ყოველგვირეული სტუმრები... და-ეთრევიან ყოველ კვირს უაღიაზე... გაწყდა მაგათა სისისილა, — ეგაბრაზებით უპასუხა ელენიშ ქმარს.

კავუნი ისევ განშეორდა.

— გაუღეთ კარი მაგ გასწუვვეტებს, —
უთხრა ბავშვებს ელენეზ და მოწყვეტილ და-
ეშვა სკამზე. — გოგი, უცუუნა, არ გესმით?

ଶୁଣଗି ଗାଇଁପା କାରିବୁ ଗଲାଲ୍ଲେବାଦ, ନେଇଲାଟ ଶୁଣି
ଯୁନା ବେଳ ଶୈଳେଲା ଲ୍ଲେବନ୍ତାଳାବ, ରାମଶୈଳସାତ
କୁହାନଶିବ ଅଛିବନା.

— ଲେଖା ଶିଳ୍ପ କରିଲୁ? ମାତ୍ରା ଶିଳ୍ପ କରିଲୁ? କିମ୍ବା କରିଲୁ
କାହାର? — ମାନୀରମ୍ଭ ଲେଖାଟାଙ୍ଗି ଶିଳ୍ପିରେ କାହାର?

— მარია! — მარია! უდევეს.
— ჩუქმად, ქალო! არ გაიგონონ, სირცეები-
ლია! — სცადა გიორგიმ ცოლის დაშოშმი-
ნება.

— არ გაიგონონ! სირცევილია! — გამოა-
ჯავრა ელენემ გიორგი. — მეტი არ შემიძ-
ლია, გიორგი! მომაბეჭრეს თავი! რა ეშმა-
კად მინდა მაჟისთანა ნაცნობები?!

— დედა! დედა! მარო ბიცოლა და თალი-
კო შევიტნენ! — შემოვარდა ოთახში გახა-
რებული გოგი. — შეხედე, რა მომიტანა მა-
რო ბიცოლამ! დახატული ცტენი... ვნახო,
აბა, რომელი ჯობს, ჩემი ცტენი თუ ეგა?

— თო! მობრძანდით, მობრძანდით! — ღი-
მილით თევეგება გიორგი მაროს და თალიჭანს
ხელი გადაუსვა თავზე.

— მარო, უნაცვალე! როგორ ხართ? —
მიეკება სტუმარს ელუნე. — რა კარგი ჰქენი;
რომ გვინახულე... სად იყავით ასეთ დროს?

— ତାଲ୍ଲିକୁ ମ୍ୟାଗର୍ଦା କିନାହିଁ. ବ୍ୟାପିକ୍ରୂ, ଏଲ୍ଲାଙ୍କିଲ୍ ଶବ୍ଦରେ କେତେବୀ. — ଉପାସୁକୁ ମାରିବି. — କାରିଗୁ ରହେବା, ମିଳିବା, ତଥିଲା. ଶେବେ ରାତ୍ରିରେ ଏହି ଚାଷିଯାଣୀ ଦ୍ୱାରାଖେବି ଶୁଣ୍ୟରିନନ୍ତରୁ?

— ვერ მოვიტყალე, გეხაცვალე! კვირაში
ეს ერთი დღე მაქვს თავისუფალი და ისიც
ოჯახს უნდება, — ამოსხენება ელენემ. —
ხომ იყა, მოსამაშახურე მაიც მოსამაშახურეა.
რაც უნდა დაარიგო, თავისებურად აკეთებს...
საღაც შენი ხელი არ მიწვდება, იქ შენი საქ-
მე არ გაკეთდება... აი, ეს ლიმონის ხე და-
მიჭინო ძაგ გასაქრობება გოგომ. რამდენჯერ
ავუჩხენი, დავარიგე, როდის და რამდენი
წყალი ჩაესხა კასრში. ვერ შევასმინე. რა ზე
გამითუჩა?

მართ მივიღდა ლიმონის ხესთან, რომელიც
ხის დღი კასრში იღგა. ალაგ შეკუთლებუ-
ლი ფოთლები ჰქონდა, ალაგ შემხმარი ტო-
ტები, ალაგ მიმჭერი ნაყოფი. ხე გავდა
ავაღმყოფს, რომელსაც მომვლელი არ ჰყავ-
და. ერთი გამზმარი ტოტი საცოდავად აჩი-
რულიყო, ფოთლები დაცვიერდა და თით-
ქოს შურით შესკერძოდა მეზობელ ტოტს,
რომელსაც ჯერ კიდევ შეჩენოდა მწვანე
ფოთლები.

— მართლა რომ ცოდვეა ამისთანა ხის
გაფუჭება, — ეწყინა მარის. — გეოტევა შე-
ძალო, და სისნარს გიშოლვინდი. როგორ შეი-
ღება ასეთი ხის გაფუჭება?

— აში გვიანაა. ამას ვერაფერი მოარჩენს,
— გადაჭრით განაცხადა გიორგიმ და საყვე-
ლურით გადახედა ელენეს. — მე რომ ხში-
რად არ დავდოთ მივლინებებში, ეს ხე
არ გათურდობთა.

— რა ვქნა, ვერ გავსწოვდი ყველაფერს, —
იმართალა თავი ელენებ. — ეს სამსახური,
ეს ბავშვები, ეს ოჯახი... შენ კი რა გიჭირს?
დავლებ ხელს შესწავლის და ჰადა,
რაიონში... დაძრანდი, მარო, რაღა უეხ-
ზე დგახარ? თალიკო, ითამაშე ბავშვებთან.

ბავშვებმა თამაშობა დაიწყეს. დიდები დასხდნენ, საუბარს შეყვნენ.

საუბარი ლიმონის ხიდან ციტრუსების მეურნეობაზე გადავიდა. საღ უკეთესი ციტრუსები იჩრდება, საღ უკეთესი მეურნეობაა, რამდენი ვიტამინია ლიმონში, ფიროთოხალში, მანდარინში. ვიტამინებიდან საუბარი სამსახურზე გადავიდა. ილაპარაკეს თანამშრომლებზე, გეგმებზე, მიღწევებზე და ნაკლებ.

საუბარი გავდა კალის, რომელიც აღილიდან აღგილზე სტის და არ იცის კაცმა, როდის და საითქვენ იზამს პირს მოუსვენარი მწერი.

— ქალო, მოგვშივრა ამდენ ლაპარაკში! — გაასტენდა უცბად გიორგის, — გააწყე სუფრა!

— ახლავე, ახლავე! — დაწირიალდა ელენე.

ჩქარა სუფრასაც მოუსნენ. ახლა საუბარი ქრძების დამზადების გარშემო დატრიალდა.

— ერთი ეს მითხარი, ელენე, როგორ ამზადებ გემრიელ ჩინირთმა? — იქითხა შარობ.

ელენე განთქმული იყო თავისი კულინარიით და სიამოვნებით უპასუხა:

— უნდა აიღო ქათამი, მოხარუშო, დასჭრა ნაწილნაწილ და ჩასდო გაწურულ ნახარშში. ხახვი უნდა მოსწვა, დააყარო ფქვილი და აურიო ერთმანეთში. უნდა დაუშატო ერთი ჩაის კოვზი ზაფრანა, მარილი, ლიმონის წევნი ან ლვინის ძმარი. ჯობს თეთრი ლვინის ძმა.

რი. ცალკე უნდა გათქვით კვერცხის გული საჭირო კვერცხისა ბულიონში და ჩაასხა ქვაბში. აურიო და ისევ დადგი ცეცლზე, მაგრამ არ აღუღდეს კი — ნელი ცეცხლი ჯობს. ამის შემდეგ უხდა მოაყარო ოხრახუში. გაერამ საქმე რეცეპტში როდია. ხელი უნდა გქონდეს გემრიელი, გამომავალი, ამაშია საქმე...

სანამ ქალები კერძების რეცეპტით იყვნენ გართული, ბავშვები სუფრიდან აიშალები და უალევ განაგრძეს თამაშობა. გოგი და ასე ცხენის ილეთებს უჩვენებდა. გოგოხები აღტაცებით უყურებლივ წითელ ქანის, რომელსაც მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა: ერთი ფეხი მოსტეხოდა და გოგი წამდაუწუმ უხვევდა ჭრილობას — თმში დაიჭრაო. ბოლოს, გოგონებს მოსწყილათ გოგის ცხენი, მით უმეტეს, რომ გოგი მათ ცხენს არ უთმობდა.

— არ გინდა და ნუ გინდა, — დაასკვნა უუფუნამ. — ჩვენ სტუმრობისა ვითამაშებთ.

— მეც ვითამაშებ, — გამოსთქვა სურვილი გოგიმ. — ცხენი ბიჭების საქმეა, სტუმრობია კი ბიჭებისაც და გოგონებისაც. არა, თაღიკო?

თალივო გულჭეთილი ბავშვი იყო და დასთანიშმდა.

— მაში, მე ვიქნები ღიასახლისი. — დაიწყო უუფუნამ. — თალივო, შენ და გოგი იქნებით სტუმრები. ახლა წალით და დააკაკუ-



ნეთ კარგები, მე კი სუფრის გაშლას დავიწყებ.

გოგი და თალიყო კუთხისაკენ გაემართნენ. უუუუნა სუფრასთან დატრიალდა.

— რა კარგი ბაქშვობა, არაფერი აწუხებთ! — ამოიოხრა მარომ და შეაჩერდა ბავშვებს.

— კაკ! კაკ! კაკ! — მოისმა კაჯუნი კედელზე.

უუუუნამ სუფრის გაშლა მიატოვა, კუთხისაკენ გაიხედა, წარბები შეიქრა და ჩაიბუზღუნა:

— მოვიდნენ ძვირფასი სტუმრები! დაეთრევიან ყოველ კვირას საღილზე. გაწყდა მაგათი სინსილა...

მერე უუუუნამ უცბად გამოიცვალა ხმა და ბოხი ხმით გამოელაპარაკა თავის თავს:

— ჩუმად, ქალო, არ გაიგონონ! სირცევილია!

ახლა უუუუნამ ისევ შეიცვალა ხმა და უკვე თავის ხმით გამოელაპარაკა თავის თავს:

— არ შემიძლია, მეტი! მომაბეზრებს თავი! რა ეშმაკად მინდა მაგისთანა ნაცნობები?

— კაკ! კაკ! კაკ! — ისევ დააბრახუნეს კედელზე გოგიმ და თალიყომ.

— მობრძანდით, მობრძანდით! — წამოდგა უუუუნა და ღიმილით გაემართა სტუმრებისაკენ. — თქვენ კი გენაცვალეთ! როგორ

ხართ? რა კარგი ჰქენით, რომ გვინახულეთ! საღი იყავით ასეთ ღრმოს?

შარო გაწითლდა. ელენეს შვიდშეუფლებელ გადაპეტრა და ცისარტყელისავით მოიღუდა. გიორგი შეიშმუშნა. უხერხული მდგრამოება ბიღან რომ გამოსულიყვნენ, გაზეთი აიღო და ხმათალლა დაიწყო:

— საოცარი ამბავი, პირდაპირ საოცარი! გუდაუთის რაიონში ერთ კოლმეურნეს ერთი ჰქეტარი მიწიდან ათას ორას ოთხმოცდასამი ფუთი სიმინდი მიუღია...

აპილპილუბული მარო წამოდგა და ბავშვს მიმართა:

— თალიყო! წავიდეთ ჩქარა! მშვიდობით ელენე! ბოდიში, რომ შეგაწუხეთ!

— რისი შეწუხება! რას ამბობ?! დარჩი, მარო! — შეეხვეწა ელენე, თან ჩაწითლებული თვალები უუუნას მიაპყრო საატკივი გაბრაზებით.

— არ მინდა, დედიჭვა, წასვლა! ჩვენ სტუმრიბიას ვთამაშობთ. დაგრჩეთ კიდევ! — შეეხვეწა ბავშვი დედას.

შაგრამ მარომ ბავშვებს ხელი დასტაცა და კარისაკენ გააქანა.

— მოვკლავ მაგ გასაქრობს, — წამოიძახა ელენემ და მიგარდა უუუუნას, მაგრამ გიორგი აეფარა ბავშვს.

— ბავშვი რა შეუშია! ეხ, რამდენი სითროხილეა საჭირო ბავშვის აღზრდაში!



სიმარისი



ურამმა უთხრა დედას,
რომ გაეღვიძა ღილით:
— წუხელ, ძვირფასო დედავ,
სიზმარი ვნახე ტკბილი:

გავზრდილიყავი ღილი,
სულ ღილი გავზრდილიყავ
და, ვითომ, ჩვენი სოფლის
მასწავლებელი ვიყავ.



წიგნს ვაკითხებდი ნორჩებს,
ფართოდ გამშლოდა მკერდი...
ო, როგორ მინდა, ჩემზე
მუდამ მზრუნველო დედი,
რომ გავიზარდო ჩქარა,
რომ გავეტოლო ღილებს,
სამშობლოს გასახარად
ჩემებრ პატარებს ვზრდიდე.

გაგრაზ ეცემაში



ზაქარია შერაზადიშვილი

ნაზარეტი ი. რაჭმაძესა

გთაში სიმინდი გვეთესა
შემოეჩია დათვი,
ნათესი გაგვინადგურა,
სადაც დაადგა თაოთი.

ღამით თოფებით ჩაესაფრდით,
ველოდებოდით დიდხანს,
აღარ მოვიდა მსუნავი,
ნამდვილად ხიფათს მიხვდა.

გათენებისას წავედით,
მთა შევაჯერეთ ძებნით,
თქორი ჟინულლავდა მიდამოს,
ნისლში ცურავდნენ მთები.


ტყეში წავაშვდით, ბურუშში
ძლიერ გავარჩიეთ ლანდად;
დათვს პანტა ჩამოებერტყა
და მადიანად სჭამდა.

გვერდიდან შემოვეპარეთ,
წამოვიჩოქეთ ფრთხილად,
ვესროლეთ, გადაყირავდა,—
ცუდი დაუდგა დილა.

როდესაც დათვი სოფელში
ჩამოვატარეთ ურმით,
შალვას, გოგის და ნოდარის
იმაზე დასწულათ გული,

რომ პატარები არიან,
არ აქვთ ნამდვილი თოფი...
ურემს მოსდევდნენ, სახეზე
ჩამოდიოდათ ოფლი.

ოტიამ უთხრათ: — ხომ ხელავთ,
რომ მივალწიეთ წადილს,
ყანა სოფლისთვის დავთესეთ,
რად შევაჭმევდით ნადირს!





კომკავშირის XXX წლისთავისათვესი

კომკავშირი სამოქალაქო ომის წლებში

იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა კომკავშირის პირველი ყოლობა, რომელიც საფუძველი ჩაუყარა კომკავშირის არსებობას, საბჭოთა რუსეთი მძიმე დღეებს განიცდიდა. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სამი მეოთხედი უცხოეთის ინტერვესტებისა და თეთრგვარი დიდების ხელში იყო. ბურუუზაზის ნაძირალები, უცხოეთის დაზვერვათა დახმარებით, შეთქმულებებსა და დივერსიებს აწყობდნენ. დაწყო უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია და სამოქალაქო ომის პერიოდი.

სამოქალაქო ომის ქარტებილში შობილმა კომკავშირმა მთელი თავისი ენერგია, ძალები დაუმორჩილდა ერთ ამოცნას—დაზმარებოდა ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა სამშობლოს ოქტომბრის მონაპირობობა დასაცავად.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებით კომკავშირმა ათიათასობით თავისი წევრი გაგზავნა სამოქალაქო ომის ფრონტებში.

1919 წლის გაზაფხულზე (მაისში) კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირელთა პირველი სრულიად რუსეთის მობილიზაცია გამოაცხადა აღმოსავლეთის ფრონტზე კოლხების წინააღმდეგ. მობილიზაციამ უდიდესი გამოხმაურება პიოვა კომკავშირელებში. კოლხების წინააღმდეგ საბრძოლველად 3.000-ზე მეტი კომკავშირელი წავიდა.

საბჭოთა ქვეყნისათვის დაძაბულ ვითარებაში, როდესაც დედაქალაქს გეხსერალი დენიკინი ემუქრებოდა, ძოსკოვში 1919 წლის ოქტომბერში შეიკრიბა კომკავშირის მეორე ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება კომკავშირელთა შეორე სრულიად რუსეთის ძობილიზაციის ჩატარების შესახებ დენიკინის წინააღმდეგ.

კომკავშირელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ყრილობის გადაწყვეტილებას მობილიზაციის შესახებ. ფრონტზე წასვლის სურვილი ახალგაზრდობაში იმდენად დიდი იყო, რომ ხშირად კენჭისყრასაც კი მიმართავდნენ. მრავალი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც რაიონული ორგანიზაციები მთლიანად მიდიოდნენ ფრონტზე. იმ დროისათვის მრავალი კომკავშირული ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი იყო მჭევრმეტყველუ-

რი წარწერა კომიტეტის კარებზე: „რაიკომი დაკეტილია, ყველა ფრონტზეა წასული“.

საბჭოთის ფრონტზე შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით II ყრილობაზ ვადამდე დაამტავრა თავისი მუშაობა. დენიკინის წინააღმდეგ კომკავშირელთა სრულიად რუსეთის მობილიზაციაში წითელ არშის 10 ათასი კაცი შეჰმატა.

1920 წლის გაზაფხულზე უცხოეთის იმპერიალისტებმა ახალი ლაშქრობა მოაწყეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. „ყველანი პოლონეთის ფრონტზე“—ამ ლოზუნგით ჩატარდა კომკავშირის მესამე სრულიად რუსეთის მობილიზაცია, რომელიც 1920 წლის მაისში გამოცხადდა. კომკავშირმა დასავლეთის ფრონტს სამი ათასზე მეტი კაცი მისცა.

ფრონტზე წავიდა ბელორუსის თითქმის ყველა კომკავშირელი, უკრაინის კომკავშირელის უმრავლესობა, ფრონტისპირა რაიონების მრავალი კომკავშირული ორგანიზაცია კვლავ მთელი შემაღენლობით უერთდებოდა წითელი არმის რიგებს.

სამოქალაქო ომის წლებში, არასრული ცნობებით, კომკავშირის მიერ ჩატარებულშა სრულიად რუსეთის სამმა მობილიზაციამ ფრონტს 25 ათასზე მეტი კომკავშირელი მისცა. სამოქალაქო ომში უმაგალითო სახალხო გმირობა და თავდადება გვიჩვენა. კომუნისტები და კომკავშირელები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირული საბჭოთა ხალხის პირველ რიგებში იყვნენ.

კომკავშირი ეხმარებოდა ფრონტს არა მარტი ძობილიზაციებით, არამედ, აგრეთვე, ზურგის საბრძოლო თარგანიზებით, ზურგში დარჩენილი კომკავშირელები დაუღალავად ზრუხავდეს წითელი არმის რიგების შევაძებები, თავდადებით შრომობდნენ ფარიკაპარებებში, მინდვრებზე, რათა ნერვების უძნელეს პირობებში უზრუნველეყოთ ფრონტი შეიარაღებით, ვაზნებით, სურსათით. კომკავშირი აქტიურად მონაწილეობდა საყველთაო სამხედრო სავალდებულო სწავლებაში, დაბმარებას უწევდა ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელებს; წითელარმიელთა ოჯახებისაღმი დახმარება, წითელი არმის მეთაურთა სანდო შემაღენლობისა და

პოლიტიკური აპარატის შექმნაში მონაწილეობა, ძოწყალების დების მომზადება და მთელი რიგი სხვა საპასუხისმგებლო აღმცინების შესრულება და ეფუძნების შემცავშის.

სამოქალაქო ომის მრავალსახე წლებში კომკავშირის რიგებიდან ათასობითა და ათიათასობით გამოიყენები წარმოიშვნენ. ათასობით და ათიათასობით სხვა.

კომკავშირელთა საბრძოლო ტრადიციები სამოქალაქო ომის წლებში ნათლად ასახა ჩვენი დროის გამოჩენილმა მწერალმა, სამოქალაქო ომის გმირმა ნიკოლოზ ასტრონომი რომანში „როგორ იწრითობოდა ფოლადი“ ამ რომანის გმირის პავარი კორჩაგინის — სამშობლოს მშვენებარე პატრიოტის სახით. კომკავშირის საგმირო საქმეები სამოქალაქო ომის წლებში სამუდაბოდ აღმოჩენილია საბჭოთა ხალხის მექსიკებაში, ჩვენი ქვეყნის გმირულ მატიანეში.

სამოქალაქო ომის წლებში კომკავშირმა ისეთი გმირები მოგვცა, როგორიცაა: ვასილი ალექსეევი, ალექსანდრე ლევი, ალექსი კოსმიტკო, იდა კრასნიშეკინი, აფანასიევი, ნიკოლოზ რუდნევი, ნატაშა გორეშნინა და

მოსკოვის კომკავშირის ერთერთი ორგანიზაციონი ჭაბუკი — კომკავშირელი აფანასიევი 17 წლის იუნი აღმოსავლეთის ფრონტზე, კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველად რომ წავიდა. აფანასიევი მეტყვამოწრევითა ათეულის მეთაურად დანიშნეს, იგი უკანასკნელ მოსუნთქმდე იძრძოდა და გმირულად დაცა ბრძოლის ველზე.

კ. ვოროშილოვის X არმიის მებრძოლებს ძლიერ უკარდათ 23 წლის მეოთხრი კომკავშირელი ნიკოლოზ რუდნევი. ამხანაგ ვოროშილოვთან და მის არმიისთან ერთად ვანკლო მან სახელოვანი საბრძოლო გზა ლოგანსკილია (ვოროშილოვგრადი) ცარიცინაშე. ამხანაგ სტალინისა და ვოროშილოვის ხელმძღვანელობით იგი გმირულად იბრძოდა წითელი ცარიცინისათვის. 1918 წლის ოქტომბერში ცარიცინში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, თეთრგვარდიელ გენერალ კრასნოვის დიდმა ჯგუფმა გაარღვია ფრონტის ხაზი სადგურ ბეკეტორვკასთან. საჭირო იყო მდგომარეობის სწრაფი გამოსწორება. ამხანაგმა სტალინმა ამ უბანზე ნიკოლოზ რუდნევი გაგზავნა. რუდნევმა პირადი მაგალითთ მებრძოლები გაიყოლია, ამავე დროს ჩვენა მაშველი ძალებიც გაჩნდნენ და მტერიულებული იქნა. გააფთრებულ ბრძოლაში ნიკოლოზ რუდნევი სასიკვდილოდ დაიჭრა. იგი მოათავსეს საველე პოსპიტალში და ექიმები ყოველ ღონეს მიმართავდნენ მის გადასარჩენად, მაგრამ ამაռდა, რუდნევი გარდაიცვალა. რამდენიმე დღის შემდეგ

ცინის ფრონტის გაზეთში „პოლუტო“ შემდეგი ცნობა იქნა მოთავსებული:


„ლრმა მწუხარებით აღვნიშნავ ამხანაგ რუდნევის სიკვდილს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მეომრის სასახელო პისტიზე. სამარადისო ხსოვნა კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლის! დაუნდობელი შურიდება შეფის გენერლებსა და მათ მაჩანჩალებს — იასაულებს.“

ჩესპებლივის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი, სახალხო კომისარი ი. სტალინი“.

ბრძოლა წითელი ცარიცინისათვის, ნიკოლოზ რუდნევის გმირობა და მამაცობა საჭკოესოდ აქვს ასახული გამოჩენილ საბჭოთა მწერალს აღექსი ტოლიტოს თავის რომანში „პური“. საგმირო საქმით ისახელა თავი პეტროგრადის კომკავშირელმა არხანგელსკიმ. როდესაც გენერალ იუდენიჩის ურდოები ქალაქს მოუახლოვთნენ, არხანგელსკი ნებაყოფლობით ჩადგა წითელი არმიის რიგებში. მტრის ჯარების წინსვლის შესაჩერებლად აუცილებელი იყო ერთერთი ხიდის აფეთქება. ამ ამოცანის შესრულება არხანგელსკი ითავა, იგი მტრისათვის შეუმჩნევლად მივიღდა ზიდთან და ხიდის ქვეშ პიროქსილინის (ფეთქებადი ნივთიერება) დენთი მოათვა. აი, ხიდზე მტრის ჯარი გამოჩნდა, მამაცი კომკავშირელი ასაფეთქებლად მზალებას ამთავრებდა და უცებ დაინახა, რომ დენთის ზონარი მოკლეა, ხიდის აფეთქება უშიშრი მანძილიდან შეუძლებელი იყო. მაგრამ იგი არ შეიძრეა. როდესაც ხიდზე მტრის ჯარი გამოჩნდა, ხითმა უცებ იფეთქა და არხანგელსკიც გმირულად დაილუბა.

ნატაშა გორშენინა პეტროგრადის ერთერთი პირველი კომკავშირელი იყო. იუდენიჩის ურდოების შიმოუკეთების ნატაშა ფრონტზე წავიდა და მზეერავი გახდა. ერთერთ ბრძოლაში იგი ტყვედ ჩაიგდეს თეთრგვაროვებმა. დიდხანს შეამებდნენ ჯალათები ნატაშას. „რევოლუციის ქალაქის ნახას ვერ მოესწრებით!“ — მტროლო ეს უთხრა ნატაშამ ჯალათებს. თეთრგვარდიელებმა მას ჩამოხრიბა მიუსაჯეს. ნატაშას კასერზე ეციდა პატარა ჩანთაში ჩაეცრებული კომკავშირის ბილეთი. იგი ხმამოულებლივ და მამაცურად, მკერდზე კომკავშირული ბილეთით მიღიოდა სახრჩობებაზე.

კომკავშირელები აქტიურად მტრის ზურგში — პატარაზანულ რაზმებში, იატაკევეშეთში.



აი, ერთეული საგულისხმო ფაქტი:

1920 წლის იანვარში, წითელი არმიის მიერ ოდესის დატოვების შემდეგ, თეთრგვარდის დირექტორის 17 ახალგაზრდა იატაკშევე შელი ჩაუვარდა. გამხეცებულ თეთრგვარდის უკელა შეკითხვაზე ახალგაზრდა გმირებმა დუშმილით უპასუხდა. სასამართლომ ცხრა ახალგვაზრდას — იდა კრასნოშტერნას, დორა ლიუბარსკაიას, იაშა როიფმანს, ლევ სპივაკს, ბორის მიხაილოვიჩს, დუნინოვსკის, ვასილ პეტრენკოს, მიშა პილცმანსა და პოლია ბარქს — სასიკვდილო განჩენი გამოუტანა, შოლო დანარჩენებს კატორლა მიუსაჯა.

9 ახალგაზრდის სიკვდილით დასჯის მეორე დღეს არალეგალურ გაზეთში „ოდესეკი კომუნისტი“ დასჯილთა მიერ სიკვდილის წინ დაწერილი წერილები გამოქვეყნდა.

კომკავშირმა უდიდესი როლი შეასრულა სამოქალაქო ომში, იგი თავისი მამაცობითა და გმირობით დაეხმარა ბოლშევიკურ პარტიას ძლევამოსილად დაემთავრებინა ომი.

იმ პერიოდში პარტია და მთავრობა სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკას ატარებდნენ. ბრძოლა პურისათვის, სათბობისათვის, ტრანსპორტისათვის, სოფლისათვის დახმარება — ა. მოკლედ, ძლიერ მოკლედ იმ ამორნების ნუსხა, რომელთა გადაჭრა კომკავშირის ერთეულ ღრიად მნიშვნელოვან ამოცადა გადაიშეცა. სათბობის ნაკლებობისა და ტრანსპორტის სივიწროვის აღსაკეთად კომკავშირი თათქმის 400 ათას წევრს აერთიანებდა.

შრომის, შაბათობანი, კვირაობანი, შრომითობანი რაზმეულები უდიდესი აღტყინებით მოქმედდნენ ყველა კომკავშირულ თრგანიზაციას.

რიგ გუბერნიის კომკავშირულ ბილეთებში, საწევრო ანარიცხების აკრეფის აღნიშვნასთან ერთად შემოღებულ იქნა სპეციალური აღნიშვნა შაბათობებში, კვირაობებში მონაწილეობის შესახებ.

მრავალი სიძნელის გადატანა მოუხდა კომკავშირს სამოქალაქო ომის წლებში. იმ დროისათვის კომკავშირი ნორჩ პროლეტართა ჰემბარიტად მასობრივ თრგანიზაციად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ კომკავშირში შესვლა იმ დროს ფრონტზე წასვლა ნიშნავდა, რადგან „კომკავშირულ ბილეთთან ერთად ჩვენ იარაღსა და ორას ვაზნას კლებულობდით“ (ნ. ისტორიკსკი). იგი არა-ჩვეულებრივი სისწრაფით იზრდებოდა. თუ 1918 წლის ოქტომბრისათვის კომსაზირში 22.100 წევრი ირიცხებოდა, 1920 წლის ოქტომბრისათვის, ე. ი. ორი წლის შემდეგ, კომკავშირი თითქმის 400 ათას წევრს აერთიანებდა.

სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბრძოლო დამსახურებისათვის, წითელი არმიის 10 წლის თავთან დაკავშირებით, 1928 წელს საბჭოთა მთავრობამ ლენინურ-სტალინური კომკავშირი ბრძოლის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა.

ეს ჯილდო კომკავშირს გადაეცა საკ. ალკე VIII ყრილობაზე, 1928 წლის მაისში.

ნიკოლოზ ჯაში





ქახა ბერი

მუსიკა ლეგანიძე

ნახატები ა. გოგოლაშვილისა

გოთხეობა:

თავი მისამი

სიცოცხლე

მთები, მთები! უკან დარჩნენ თეთრი
და მაინც ისიცერი მთები. შეორე დღეს შავი
ზღვაც თვალს მიეფარა და ვრცელი, თოვ-
ლიანი სტეპები გალივლივდნენ თვალწინ.

აფერ მესამედ ბინდდება; ახლა უკვე გო-
რაკები აედევნენ ლანდაგს. დროდადრო
ოაზისებივით ჩაიქროლებენ პატარა, ტყიანი
ბორცვები, და გრძელი, წიწვოვანი ქარსაცა-
ვები მოსდევენ მატარებელს.

ახლადა იგრძნო ზაზამ, რომ მიწა მიწისა-
გან განსხვავდება. დაენატრა თამარის
კლდე, თვალწინ დაუდგნენ ქოლოსუქის სა-
თიბები, მერე გლოლის მთები აილანდნენ
თეთრად და თანდათან გაისაფერდნენ.

მატარებელი კურსკში შეჩერდა. კონტა
ქალაქი ჩანს კურსკი. საღვურზე რომ ხაოხი
ირევა, მთელ ზეარეთის თეში არ იქნება,
ალბათ, ამდენი. ზაზასთან ერთად კუპეში
გაჟირახვებული მასწავლებელი ქალი მარია
ივანიշვილი და ორიც სტალინგრადელი ოფი-
ცერია.

* დახასხული. იხილეთ ურნალ „პიონერის“
№№ 6, 7 და 8.

ლეიტენანტი ბაქანზე ჩავიდა, საჭმელი
ამოიტანა, ფანჯრის ჩაფაზე პატარა, ლურ-
ჯი სუფრა გაშალა და მარია ივანიშვინას რა-
ღაც წასჩურჩულა. მასწავლებელმა სათვა-
ლეები გაისწორა და ზაზას გახედა. მერე
მრავალმნიშვნელოვნად გარააქნია თავი.
რა მოსდის, ნეტა, ამ ბიჭს! — გაიფიქრა
მან, — სამი დღეა თითქმის არაფერი უჭი-
მია. რუსული გვარიანად იცის, ცოტას ლა-
პარაკობს, ბევრს ფიქრობს.

— ზაზა დაგვეწვი, შესანიშნავი ძეხვია!
— თქვა ლეიტენანტმა, ხელი მოხვია და თი-
თქმის ძალით მოისვა გვერდით.

ზაზამ აღარ იუარა, სურჯინიღან დეიდა
ქეთევანის ამოყვანილი ყველი ამოილო, რა-
ჭული ლორი ნუნუს ნაჩუქარი ჯაყით და-
თალა და საძმო სუფრას მიუმატა.

მატარებელი ისევ თოვლან მინდვრებზე
და ბორცვებს შორის მიჭიროდა.

შეღამებულს მარია ივანიშვინამ თქვა:

— აბა, ჭაბუკო, გეყოფა ამდენი ფიქრი,
დაიძინე, დილით მოსკოვში გაგელვიძება!

ზაზას კი დილის ნაცვლად შუალამისას
გამოვიდა. პო, კიდევ კარგი რომ გაელვიძა..

ბნელოდა, მოსკოვი არსად ჩანდა, მატარებელი არყაიანში მიჰქროდა.

საწოლზე წამოჯდა, ჭირისოფლი მოიშმინდა, ერთხანს ასე ჯდა, მერე დაწვა და თვალები დახუჭა. დახუჭა და მაინც სიზმრად ნახული აელანდა თვალწინ.

დღი ტევრში იდგა ნუნუ გულხელდაკრეფილი. ზაზა თავს წაადგა. ნუნუმ ვერ იცნო, — შეშინებული თვალები მიაშტერა. მერე ტევრი კლდოვანი ზღვისპირით შეიცვალა; ნუნუ კლდის ქიში იდგა და ზღვის დასკერილდა. ერთხელ კადევ მოჰქედა ზაზას, როგორც ვისმე უცხოს... ზაზას დაძანება უნდოდა, ვერ მიცანიო, გოგო? მე ვარო, ზაზა! არ გაბედოო, ნუნუკა, არ გაბედო..

მაგრამ ნისლმა ჩამოიარა და... ზაზას გაეღვიძა.

ვაგრინი ორწევა. თენდება. მეზავრები იღვიძებენ, პირსახოცები მხარზე გადაუფენიათ, პირის დასაბანათ მიღიან. მეზობელ კუპეში ცალფეხა მეზლვაური ბაიანს სწელავს და ბორი, ვაკაცური ხმით მღერის:

„მოსკოვო, ჩემო მოსკოვო,
ჩემო შობელო დედა!..“

სადგურზე ყველაფერი ერთმანეთში აირია. მარია ივანოვნა და ოფიცირებიც ხალხში ჩაეკარგნენ ზაზას. მარმარილოს დღი სკეტონან გაჩერდა ბიჭი; ყველა თავისი გზით მიეშურება, გარბიან — ერთნი ერთ მხარეს, მეორენი — სხვა მხრივ.

აგრე, ხალხის უზარმაზარი ნიაღვარი სინათლისაკენ შეითინება. ზაზამ თავისი ჭრელი ხურჯინი მხარზე გადაიკიდა, მშეობი, გამოცოლი კავის სახე მიიღო და იმ ნიაღვარს გაჰყვა. გაჰყვა და ნიაღვარმაც გაიყოლა. მერე, ის ნიაღვარი მოედანზე გაიშალა, და ზაზამ მოსკოვი დაინახა.

ვის ჰეითხოს ახლა გზა-კვალი, ან საით წავიდეს ასე თვალდახუჭულივით! ხურჯინი ხიმოდგა. თვითონაც ხეს აეყუდა და გულის ჯიბილან ტანის მისამართი ამოიღო.

თოვს, თოვს, თათოვალილი მანქანები ჩირდებიან, მეზავრები სხდებიან შიგ, და ისევ მისრიალებენ.

უცებ ზაზას მახლობლად კოხტა, მსუბუქი მანქანა გაჩერდა. მემანქანებ ჭრელ ხურჯინს დააღვა თვალი, მანქანის კარს აღებს და იღმიება:

— ჩაჯექ, ბიჭუნი, ჩაჯექ!

მერე მისამართი ჩამოიართვა, გზადაგზა წაიკითხა და უკანმოუხედავად შეეხმიანა:

— თბილი, პროფესორ! სმისლოვთან! ჩარ სტუმრად, ბიჭუნი!?

ზაზას არც გაუგონია, ხურჯინი ლაჯებში

ამოიდო და თაფეთებული თვალები მოქანდას სარკმელში გაუფრინდა.

მანქანამ დიდ მოედანზე წრის მოხაზულება ისევ პირდაპირ გასრინალდა.

— აი, ესეც კრემლი! — გაბაღრა მეგან-ქან, — შეხედე, ბიჭუნი შეხედე!.. პირველად ხარ, რა თქმა უნდა, მოსკოვში!

ზაზამ მარჯვენა სარკმელისაკენ გადაინაცვლა საჩქაროდ. უჯ, რა ლამაზია, რა მაღალ, ქონგურიდან უზარმაზარი ვარსკვლავი იყურება შექანი თვალებით. თოვს, თოვს, ყველაფერს ათოვს, იმ ვარსკვლავთან დი თოვლი ფეხს ვერ იჯდებს და, ბრწყინავს იგი თავისივე მზეში...

იქ სტალინა! იქნებ ახლა, აგრე, იმ ფანჯრიდან დასცემერის ქალაქი... ეს, ნეტავ აჩვენა ზაზას ბელადი! თუმცალა რას იზამს ახლა ზაზა, რომ მოაბრუნოს მემანქანემ, ალაყაფთან გააჩეროს მანქანა და კრემლის კაცებმა ზაზა ბელადის წარუდგინონ?!?

დაიბნევა მთის ჭაბუკი უთულდ დაიბნევა! არა, რატომ?! იქნებ არც დაიბნეს! დარბაზში რომ შეიყვანენ, ათიოდე ნაბიჯეს გადადგამს, შორიდან იტყვის გამარჯვებას, მერე ახლოს მივა, მარჯვენა მხარზე ემთხვევა ძველქართულად, — იი, ისე, წიგნებში რომ სწრია, მერე ჩამოგდება და იტყვის:

— მე ზაზა ვარ, მესხი. შენით ვსუნთქავ და ვცოცხლობ — მიმსახურე მამაჩემის მაგივრად!

ბელადი გაიღიმებს და მხარზე ხელს დაკრუას. უსათულდ გაიღიმებს!

ესაუბრება ქვეყნისას, ოჯახისას, სწავლისა... მერე ჰეითხავს: ხომ არაფერი უჭირს ზაზას.

არა, არაფერიც არ უჭირს ზაზას! ეს ისე, სხვათაშორის გაიფიქრა ზაზამ... მესხის ბიჭი სამსახურისა და ერთგულების ბაღლად ჯილდოს არ თხოვლობს, ხოლო რაც შეეხება გაჭირვებას, ეს ჯერ, იქნებ პროფესორმა უშევლოს...

თოვს, თოვს, ყველაფერს ათოვს... მიკრიან ქუჩები თოვლში.

პროფესორ სმისლოვის ოჯახში დილიდანვე შეკრებილიყვნენ ახალგაზრდები. ოთახებში ჯვალ-ჯვალი დაფანტულიყნენ და მხიარულობრნენ. ერთნი როიალს მისხდომოლნინ. მეორენი ჭალრაზან ჩაფიქრებულიყვნენ და, სხვისთვის ხომ ხელი არ შეეშალათ, ჩურჩულებდნენ.

ტანის ხავერდის ცისფერი კბა ეცვა და, როგორც მასპინძელს შეფერის, ჯერ ერთ ჯვალითან დაციმუშებდა თვავისი კაბისფერ თვალებს, მერე მეორეში გაიგამათებდა,

ახლა მესამეში გაიდისკისებდა და ბოლოს
კვლავ პირველს მოინახულებდა.

ერთ კუთხეში მეცნიერებისათვის იყლავ-
დნენ თავს, მეორეში ხელოფნებას შეჰვი-
ფინებდნენ, ხოლო მესამეში თოთვზარბაზ-
ნის მზეს ლოცვილობდნენ.

— ტანია, ტანია! — გამოძახეს მესამე
ოთახიდან, — გთხოვთ, ტანია, გთხოვთ! —
ეს ვაჟატონი ბრძანებს, — კაბასობდა მაღა-
ლი, ხელშემორი, სათვალეებიანი ჭაბუკი, —
დასხ. იმას ვამბობდი, ტანია, ეს ვაჟატონი
ბრძანებს, რომ ქვეყნიერებაზე...

დერეფანში ელექტროზარი აწყარონდა...

— მიხედვთ, მე არ მცალია! — წარმოქ-
თქვა ტანიამ და სამი ზოლებიანი კოსტუმი
კარებს მიეფარა.

ტანია მესამე ოთახისაკენ გაემართა. შეუა-
ოთახებში ფონონების ჯგუფს გაულიმა გავ-
ლით. აյ საუბარი იყო იმაზე, თუ რომელმა
ერმა რა მისცა კაცობრიობას, ვინ მეტი ზა-
ვინ ნაკლები. ვიღაც, ქართველ ხალხს ახე-
ნებდა:

ტანიას ლიახვისპირმა გაუელვა თვალწინ,
მერე დღევანდელი საღამო გაახსენდა და
გოგონებს მიუახლოვდა.

— ქართველები, — თქვა ტანიამ, — მე
ძლიერ შემთხვერდა, ძალზე ნიჭიერი ხალხი,
აი, ამ საღამოს თქვენ ნახავთ...

— ტანია, ტანია! — არ ეშვებოდნენ მესამე
ოთახიდან. ჯერ მკვირცხლი, პირყვითელი
ბიჭუნა გამოვარდა, მერე სხვებიც გამო-
შალნენ გუნზალ...

— მე ვლაპარაკობ, მეონი! — უთხრა მათ
ტანიამ და წარბი შეიტა. — მას საშინაო
სტულოა, როცა სიტყვის აწყვეტინებდნენ.
— ქართველები ძალზედ ნიჭიერი ხალხია.
— განაგრძო ტანიამ და პირი გოგონებისკენ
მიიღო. — ამ საღამოს თქვენი თვალით ნა-
ხავთ ჩემი ქართველი მეგობრის საქმიად
ორ ტოლის და დარწმუნდებით ჩემი ნათ-
ავამის სისწორეში. არსებობს აზრი, რომ ამ
ნამუშევარს პირველი პრემია მიეკუთვნება.

ტანიას ძლიერ უყვარდა ტერმინი „არსუ-
ბობს აზრი“ და მას მეტი დამაჯერებლობი-
სათვის ხმარობდა.

— ჰო, მართლა, დავიშალოთ! — თქვა სა-
ოთვალებიანმა ჭაბუკმა, — თორემ საღამოს
უქვე საათზე პიონერთა სასახლეში ვართ წა-
სასველელი. დღეს ხომ სამხატვრო გამოფენის
გახსნაა!

— მოითმინეთ. მოითმინეთ, ნუ აჩქარდე-
ბით, ჯერ აურია! მე სტუმარს მივხედავ და
გრახლებით ამ წუთში...

დერეფანში ტანიას ისინი შემოფენებან,
ესაც ხუთიოდე წუთის წინ სტუმრის „მი-
ხედვა“ დაავალა.

— არ მოდის! — შესძახეს ერთხმად.

— უინ არ მოდის!

— სტუმარია, უცხოა ვიღაც, უცნაური ბი-
ჭი ჩანს, — ბევრი ხალხიაო, არ შემოვად,
ტანიას სტოკეთო.

ტანიამ კაბუკები უბასუხოდ დატოვა და-
საპარალო შემოსავლელში რომ გავიდა,
ყველა თახახებში გაიგონეს ორი სიტყვა:

— ზაზა!

— ტანია!

ორიოდე წუთის შემდეგ, სასტუმრო
ოთახში, წამწამებზე ფიფქდაყრილი და ოდ-
ნავ დაბნეული მთას ჭაბუკი უსერესულად
ართმევდა ხელს ახალგაზრდებს. ტანია ხან
ზაზას შესცემოდა, ხან ამხანაგებს.

— იცნობდეთ, იცნობდეთ! ჩემი ქართვე-
ლი მეგობარი — ზაზა მესხი!

* * *

ახალგაზრდები ნელ-ნელა გაიკითნენ.
ბოლოს ტანია და ზაზა მარტო დარჩნენ,
ერთმანეთი მოიკითხეს, გაიხსენეს ლიახვის
ვერცხები, მარმარილოს სვერებში ჩამდგარი



პატირა სახლი, მაშინდელი სიხარული და
ურუანტელი, მერე ტახიამ ჰეთხა:

— როგორ ძოგწონს მისკოგი?!
— კარგია! — მიუღო ზაზაბ.
— ჴო, მართლა, ნუნუ როგორდა არის?!
— კარგად! — თქვა ზაზაბ და დამუნჯდა.

შესციდა ალბათ, ვერ არის კარგად, ნამ-
გვავრია, დაღლილი იქნება. — გაიფიქრა
ტანიამ.

— ზაზა, პიონერთა სასახლეში წასვლამდე
დროა კიდევ, დაწექი და მოისვენე! ცუდად
ნარ, გუტყობა!

— ტანია შორს არის სასახლე?! ერთი ნა-
მუშვევრის დამატება შინდობა, თუ მოხერ-
ხდება!

— რატომ არა, რატომ! მე მგონი მოხერ-
ხდეს... მაშ, გავემზადოთ! — თქვა ტანიამ
და მეორე ოთახში გავიდა ჩასაცმელად.

დერეფანში ზარმა დაიწყრიალა. ოთახში
მაღალი, სანდომიანი სახის, ჭალარა კაცი შე-
მოვიდა.

ეს ალბათ მამა ტანიასი — პროფესორი
სმისლოვი, — გაიფიქრა ზაზაბ და წამოდგა.

პროფესორი, ეტყობოდა, კარგ ხასიათშე
იყო; დიდი ნაბიჯებით მოაბიჯებდა და ლი-
ლინებდა; ოთახში უცხო ჭაბუქი რომ შენიშ-
ნა ღილინი შესწყვიტა, შედგა და აათვალიყ-
რო.

ზაზა აიწურა, მისალმება დააპირა, მაგრამ
პროფესორს გაოცება ლიშილით შეეცვალა
და ხელები გაშალა:

— თქვენ ტანიას ჭართველი მეგობარი
ხართ?! ო, გამარჯვებათ, მეგობარო, გამარჯ-
ვებათ. ხომ კარგად იმგზავრეთ?! რა ამბავია
საჭართველოში?

ზაზას პირველად გაუკვირდა, მერე მიხვ-
და, რომ სურათით იცნო პროფესორმა. დარცხვენით უპასუხა, რომ კარგად იმგზა-
რო და საჭართველოშიც კარგი ამბებია..

მიხარია, მიხარია, რომ ჩემს ჯახში გხე-
დავთ! ჴო, მართლა ტანია სადღაუა? განა
სტუმრის ასე მიტოვება შეიძლება?

მეორე ოთახიდან ტანია გამოვიდა, კაბა
გამოეცვალა, მამა შეუბლზე ეამბორა, მეგო-
ბრებს შეუში ჩაუდგა, ხელი გაღახვია და
მოიბოდიშა:

— აბა, მეგობრებო, იმედი მაქეს ერთ საათს
მაჩუქებო, საჩქარო დავალება მაქეს, გაერ-
თეთ, არ მოიწყინოთ შემდეგ კი თქვენი ხმა-
ლი და ჩემი კისერი!

— მაგი, ჩეენ სასახლეში მივდივართ, ზა-
ზას სურს მოასწროს ერთი ნამუშევრის და-
მატებაც. ჴო, მართლა, მამა, ხომ წამოხეალ
გამოფენის გახსნაშე?! განა არ ნახავ ზაზას
ნამუშევრებს?

— ვეცდები, შვილო, ვეცდები! — გაიღი-
18

მა პროფესორმა, მერე ჩაფიქრდა და დაუ-
მატა:

— უსათუოდ, კარგებო, უსათუოდ! ვად,
თბილად ჩაიცვით, თოვს გარეთ, რო ყაციუ-
დეთ!

* * *

იმ საღამოს ზვარეთის თემშიც თოვდა გა-
ნუწყვეტლივ. სარემლებს მიაბჯინა და ალაგ
ცხენოსნის სიმაღლეზეც დასთოვა. შეღამდა.
თოვდა და თოვდა. ყორეზე შაქარა გადმო-
ბობდა, ბებერ ლონბაშოზე შარვლის ტოტი
გამოედო, კასერში ჩაყრილი თოვლი უსია-
მოდ ამოიბერტყა და საჩქაროდ თქვა:

— აბა, გავიძეცე!

დაუშვილმა უკვე იცოდა, რომ უნდა გაქ-
ცეულიყვნენ, მაყრამ ასეთ თოვლში არც ისე
ადვილი... იყო გაჭერება, ოციოდე ნაბიჯზე გას-
ტოპეს, შარაგზიდან მარჯვნივ გადაუსხიერ-
და გორაკზე დიდ მუხებს მოეფარენა.

სული რომ მოითქვეს, შაქარამ ნაწყვეტ-
ნაწყვეტ თქვა — გოგიაც ეხმარებოდა:

— ცუდათაა, ძლიერ ცუდათ, კინალამ ვი-
ტირეთ... ჴო, შალვა-დამრიგებელი და დი-
რექტორიც იქ დაგვიხვდნენ; სანახავად იყ-
ვნენ მისულნი, წამოსცლა რომ ვთქვით, ისი-
ნიც წამოდგნენ, ჩვენ წინ გამოვასწარით და
პირდაპირ გადმოვგვერით ეზო, თორემ ჭიშ-
კაროს შეგვეთებოდნენ უსათუოდ...

გაჩუმდნენ. ფიქრმა და დუმილმა ჩამოია-
რა. თოვდა განუწყვეტლივ...

— დეიდა ელისაბედმა თქვა...

— ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი! — ვე-
ორ მოითმინა დაუშვილმა, ყელში მოებჯი-
ნა რაღაც, და პირველად თავის სიცოცხლეში
დამნაშავედ, საძაგლად და თანაც უბედურად
იყრინო თავი.

ქვემოდ ზვარელების სკელმა ჭიშკარმა
გაიჭრალა და თოვლიან შარაში მკრთალად
გამოახათა დეიდა ელისაბედის ფარანმა. მე-
რე ისევ მიისურა ჭიშკარი, და ჩაფიქრებუ-
ლი შალვა-დამრიგებელი წინ წაუძღვა დი-
რექტორს.

ბიჭები სდუჭმდნენ. შაქარას და გოგის სახლ-
ში წასკლა ეშურებოდათ, ნოდარს კი არსად
ეჩქარებოდა.

გზავალი აებნა დაუშვილს, გზავალი.
ლამის მთელი მეოთხედი გაუცდა. გალურ-
კდა ამდენი ფიქრით. ზაზას წასკლა რომ გა-
იგო მოსკოვში, დრო იხელთა, ზვარეთს გაღ-
მოვიდა, შალვა-დამრიგებელი ინახულა მა-
ლულად, მოიბოდიშა, შეწყალება და დამა-
რება სოხოვა, მერე შაქარა და გოგია დაიყა-
ბულა და, აი, ამ საღამოს ნუნუსთან შეჰვზავ-
ნა ამბის გასაგებად.

